საქართველოს
პარლამენტი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღი 26

№ 19560

06 09 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ 2012- 2013 წლებში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: 19 ფურცელი.

პატივისცემით,
კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი

საქართველოს პარლამენტის

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის

2012-2013 წლების საქმიანობის
ანგარიში

სარჩევი

1. კომიტეტის ამოცანები 3

2. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები 4

3. კომიტეტის საქმიანობა 5

3.1. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა 5

3.2. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა 12

3.3. სპორტულ ფედერაციებთან, კლუბებთან, საგანმათლებლო დაწესებულებებთან და სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 13

3.4. ქვეყანაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში არსებული მდგომარეობა 17

- ნეგატიური ფონი 17
- პოზიტიური ფონი 18

3.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა 19

- კომიტეტში შემოსული წერილები 19
- მოქალაქეთა მიღება 19
- მნიშვნელოვანი შეხვედრები 19

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

1. კომიტეტის ამოცანები

1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის, სახელმწიფოებრივი ხელშეწყობისა და მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხების, საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტული ასოციაციების, კავშირების, ფედერაციების საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია; პატრიოტულ-აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელება.
2. სპორტის განვითარების, პატრიოტულ-აღმზრდელობითი საქმიანობის, ქართულ არმიაში სამსახურისთვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად ძირითადი მიმართულებების, ახალგაზრდობის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, ასევე სათანადო პირობების შექმნა სპორტული ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვისათვის;
3. ახალგაზრდობის სტიმულირება სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის; სპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებისა და განხორციელებისათვის მონიტორინგის გაწევა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა;
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე კონტროლის დაწესება, სპორტსმენთა პროფესიული ეთიკის ნორმების შექმნა და მათი დაცვა, ახალგაზრდების ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა;

5. საქართველოს პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად;
6. უწყვეტი სასპორტო განათლების სისტემის შექმნა, ქვეყანაში ეფექტური და ხელმისაწვდომი სპორტულ-გამაჯანსაღებელი სექტორებისა და კლუბების ჩამოყალიბება და პროფესიული კადრებით უზრუნველყოფა, ვეტერან მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, ბავშვთა, სტუდენტური, პროფესიული, სამოყვარულო სპორტის და მოსახლეობისათვის მასობრივი სპორტის განვითარება, ასევე პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი და სამედიცინო-სამკურნალო რეაბილიტაციის საკითხების მოგვარება.
7. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში მიმდინარე რეფორმის, რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობა;
8. საქართველოს კანონებისა და პარლამენტის სხვა გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

2. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები

1. საკანონმდებლო ბაზის განახლება მისი სრულყოფის მიზნით;
2. საკურატორო დარგების სამომავლო დაფინანსების საკითხები ეტაპებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით;
3. ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. უწყვეტი სასპორტო განათლების სისტემის შექმნა და შესაბამისად სასპორტო განათლების სისტემის აღდგენა-რეფორმირება;
5. ვარჯიშისა და გაჯანსაღებისათვის ხელმისაწვდომი პირობების შექმნა ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის;
6. სპორტის ვეტერანთა სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა;
7. „სპორტი ყველასათვის", და „უმაღლესი მიღწევების სპორტი"-ს მიმართულებები და პროფესიული სპორტის დარგების განვითარება;
8. სპორტის სფეროში სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავების საკითხების კოორდინაცია;
9. ახალგაზრდული ორგანიზაციების, სპორტული ასოციაციების, კავშირების, ფედერაციებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის და

პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომიტეტის სხდომებზე განხილვა;

10. კომპეტენციის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმნათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავების კოორდინაცია;

11. განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების, ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

12. სუსტი ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების კოორდინაცია;

13. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

14. ანტინარკოტიკული პოლიტიკა; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა; მოსწავლე ახალგაზრდობის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის და ჰარმონიულად განვითარების პოლიტიკის განხორციელება.

3. კომიტეტის საქმიანობა

3.1 კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა საანგარიშო წლის პერიოდში ჩაატარა 19 სხდომა, რომლებზედაც განხილული და მიღებული იქნა შემდეგი კანონპროექტები:

კანონპროექტი, რომელზეც კომიტეტი იყო წამყვანი:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" (07-2/28, 16.01.13).

აღნიშნული კანონპროექტი კომიტეტის მიერ განხილული იქნა სამი მოსმენით და „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით

შეიცვალა თავად კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, დაზუსტდა თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდული კავშირის საქმიანობა. ასევე აღნიშნული პუნქტიდან ამოღებული იქნა შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია მოთხოვნასთან, რომ ახალგაზრდული კავშირის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა აუცილებლად უნდა იყვნენ 26 წლამდე ასაკის, საერთო ინტერესის მქონე, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაერთიანებული მოქალაქეები. ასევე გაუქმდა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრი, რომელიც ფაქტიურად ფორმალური სახით არსებობდა, მასში შეყვანილი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში უკვე აღარ ფუნქციონირებდა. ამავე დროს კანონს დაემატა მე-15[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც ბავშვთა და ახალგაზრდულმა კავშირებმა, რომლებიც ამ მუხლის ამოქმედებამდე ირიცხებოდნენ ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრში და გრანტის სახით მიღებული ჰქონდათ ფინანსური მხარდაჭერა, ამ მუხლის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა წარუდგინონ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს ფინანსური ანგარიში სახელმწიფოსაგან მიღებული თანხების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.

კანონპროექტები, რომლებზეც კომიტეტის დასკვნა იყო სავალდებულო:

- „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ განხილვა.

კანონპროექტის არსი:

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასიგნებები შემცირდა 12 მლნ. ლარით და შეადგინა 47 მლნ. ლარი, მათ შორის: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 2,895.0 მლნ. ლარი; სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - 29,640.0 მლნ. ლარი; სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები 3,465.0 მლნ. ლარი; ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები - 11,000.0 მლნ. ლარი.

- „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა

კანონპროექტის არსი:

საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანოს, რათა აღმოიფხვრას დეფიციტი, რომელიც გამოიწვია იმ

გარემოებამ, რომ ასიგნებები მიიმართა სხვა პროგრამების დასაფინანსებლად, რის შედეგადაც ამ ეტაპზე განათლების სამინისტროს არ აქვს საკმარისი რესურსი საჯარო სკოლების მასწავლებელთა დეკემბრის ხელფასების ასანაზღაურებლად. გარდა ამისა, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით განხორციელდება სხვა დეფიციტური პროგრამების დაფინანსებაც. ბიუჯეტში ასევე გამოინახა თავისუფალი რესურსებიც, რომლებიც მთავრობის მიერ გამოცხადებული პრიორიტეტების, მათ შორის სოფლის მეურნეობის დაფინანსებისკენ წელსვე მიიმართება.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი, 2012 წლის 28 სექტემბერს ხელმოწერილი ,,საქართველოსა და სან მარინოს რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების განხილვა.

დოკუმენტის არსი:

შეთანხმების მე-16 მუხლის მიხედვით, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს სპორტსმენი, ერიცხება არა თვით სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება სპორტსმენის საქმიანობა.

ხოლო ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი სპორტსმენების მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი თავისუფლდება გადასახადისაგან ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს ღონისძიება გათვალისწინებულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის გაფორმებული კულტურული გაცვლის შესახებ პროგრამის შესაბამისად.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი, 2012 წლის 6 დეკემბერს ხელმოწერილი ,,საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების განხილვა.

დოკუმენტის არსი:

შეთანხმების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

მე-2 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს სპორტსმენი, ერიცხება არა თვით

სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება სპორტსმენის საქმიანობა. ხოლო მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები არ ვრცელდება სპორტსმენის მიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე, თუ ვიზიტი ამ სახელმწიფოში ხორციელდება სრულად ან ძირითადად მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სახელმწიფო სახსრებით. ასეთ შემთხვევაში შემოსავალი დაიბეგრება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის სპორტსმენი.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი, 2013 წლის 18 იანვარს ხელმოწერილი „საქართველოსა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების განხილვა (07-1/32,04.02.13).

დოკუმენტის არსი:

შეთანხმების მე-16 მუხლის მიხედვით, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს სპორტსმენი, ერიცხება არა თვით სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება სპორტსმენის საქმიანობა.

ხოლო ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი სპორტსმენების მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი თავისუფლდება გადასახადისაგან ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს ღონისძიება გათვალისწინებულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის გაფორმებული კულტურული გაცვლის შესახებ პროგრამის შესაბამისად.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი, 2012 წლის 21 დეკემბერს ხელმოწერილი „საქართველოსა და პორტუგალიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" კონვენციის განხილვა (07-1/39, 18.03.13).

დოკუმენტის არსი:

კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე

ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს სპორტსმენი, ერიცხება არა თვით სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება სპორტსმენის საქმიანობა.
ხოლო ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი სპორტსმენების მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი თავისუფლდება გადასახადისაგან ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს ღონისძიება გათვალისწინებულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის გაფორმებული კულტურული გაცვლის შესახებ პროგრამის შესაბამისად.

- **საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის" განხილვა (07-2/56, 29.03.2013).**

დოკუმენტის არსი:
2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დამტკიცებული გეგმით შეადგენდა 59,409.0 ლარს, აქედან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მართვისათვის გათვალისწინებული იყო 3,078.0 ლარი; სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის 42,229.0 ლარი; ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის 11,120.4 ლარი.

- **საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბერის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" და კონვენციის ფაკულტატური ოქმის განხილვა. (07-1/54,13.05.13)**

დოკუმენტის არსი:
კონვენციის 30-ე მუხლი ეხება კულტურულ ცხოვრებაში, გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის მიზნით, სხვებთან თანაბარ პირობებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები:
ა) მაქსიმალურად წაახალისონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას ნებისმიერი სახის სპორტულ ღონისძიებებში;

გ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ, ორგანიზება გაუკეთონ, განავითარონ და მონაწილეობა მიიღონ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში; ამ მიზნით და სხვებთან თანაბარ პირობებში, ხელი შეუწყონ ამ პირთა სათანადო ინსტრუქციებით, მომზადებითა და რესურსებით უზრუნველყოფას;
გ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სპორტულ, გამაჯანსაღებელ და ტურისტულ ადგილებზე;
დ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სხვა ბავშვების მსგავსად, მონაწილეობდნენ სათამაშო, გამაჯანსაღებელ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის სასკოლო სისტემის ფარგლებში;
ე) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ისეთ მომსახურებაზე, რომლითაც ხდება გამაჯანსაღებელი, ტურისტული, გასართობი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-2/74, 22.06.2013) განხილვა.

კანონპროექტის არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამოდენიმე მუხლში შედის ცვლილება, რომელიც ძირითადად ეხება აღნიშნული მუხლების სანქციის ნაწილებს, პასუხისმგებლობის შემსუბუქებისა ან გამკაცრების თვალსაზრისით. კანონპროექტის მიზანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღნიშნულ სფეროში საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრაა. ამასთან გახშირდა ავტოსაგზაო შემთხვევები, რაც ხშირად სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვით არის გამოწვეული. პასუხისმგებლობა მკაცრდება მართვის უფლების არმქონე პირთა ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც ნასვამ ან მართვის უფლების არმქონე პირს გადასცემენ სამართავად სატრანსპორტო საშუალებას, ასევე სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქებისათვის. ადმინისტრაციული სახდელი შემსუბუქდება რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით სატრანსპორტო საშუალების მართვის, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვისა და ღერძულა ხაზის გადაკვეთისათვის. მკაცრი ადმინისტრაციული სახდელი დაწესდა ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობის წესების დარღვევის, არასრულწლოვანის დათრობის, საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელის სმის ან მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის, აგრეთვე არასრულწლოვანთა აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, ცვლილებას განიცდის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-16 მუხლის პირველი და I[1] ნაწილები,116-ე მუხლის 1-4-ე, 4[1]-ე, 6-7-ე ნაწილები; 119-ე მუხლის 1-

ლი, 5-ე, 7^1-ე, 7^2-ე, 8-ე ნაწილები; 122-ე მუხლის 2-ე ნაწილი; 125-ე მუხლის 3-ე, 4-ე, 6^1-ე, 7^1-ე, 7^2-ე; 127-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები; 127^1-ე მუხლის 1-ლი, 5-ე, 7-8-ე ნაწილები; 155-ე მუხლის 1-5-ე ნაწილები; 170-ე მუხლი, 171-ე მუხლის 1-3-ე ნაწილები; 172-ე მუხლის 1-4-წ ნაწილები; 173-ე მუხლი; 208-ე მუხლი; 209-ე მუხლის 1-2-ე ნაწილები; 239-ე მუხლის 13-ე, 28-ე და 60^1-ე ნაწილები; 290-ე მუხლის 1^1-ლი და 300-ე მუხლის 1-3-ე ნაწილები.

- **საქართველოს პარლამენტის წევრის კობა დავითაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” განხილვა (07-3/117, 20.06.2013).**

კანონპროექტის არსი:

საქართველოს კანონის პროექტით „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ან სულიერ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მოხდენა პროგრამების განთავსება ან საჯარო ინფორმაციის მიწოდება იმ დროს, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ან ინფორმირების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს. კანონპროექტში მოცემულია ჩამონათვალი, თუ რა სახის ინფორმაცია მიიჩნევა მოზარდების მიმართ მავნე ზეგავლენის მქონედ. კანონპროექტს დაემატა პუნქტი, სადაც ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი მოიცავს მხოლოდ მოვლენების ამსახველ პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ან მიმოხილვითი ხასიათის ინფორმაციას; ინფორმაცია მნიშვნელოვანია სამეცნიერო ან ხელოვნების თვალსაზრისით ან აუცილებელია კვლევითი ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის და არსებობს საზოგადოების დიდი ინტერესი ასეთი ინფორმაციის გავრცელების მიმართ ან იგი საჭიროა ძებნილი პირის იდენტიფიკაციისათვის. კანონპროექტის თანახმად იკრძალება არასრულწლოვანთათვის ისეთი ჟურნალ-გაზეთებისა და მსგავსი სახის ნაბეჭდი პროდუქციის მიყიდვა და სარეალიზაციოდ გადაცემა, რომელიც შეიცავს მათზე მავნე ზეგავლენის ამსახველ მასალას.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით წესდება სახდელი არასრულწლოვანთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ან სულიერ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების განთავსების წესების დარღვევისთვის და განსაზღვრულია ადმინისტრირების მწარმოებელი ორგანო - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კანონპროექტში გამყარებულია აქამდე დაურეგულირებელი სფერო არასრულწლოვანთათვის მავნე ზეგავლენის მქონე

ნაბეჭდი პროდუქციის მიყიდვა და სარეალიზაციოდ გადაცემა, ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს მიყიდვა. აგრეთვე კანონპროექტს დაემატა 21 წლამდე ასაკის პირის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში სათამაშოდ დაშვება ან 18 წლამდე ასაკის პირის სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვება ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ან/და სისტემურ-ელექრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის დაშვება ან/და აზარტულ სათამაშო დაწესებულებებში დარღვევის წესს არასრულწლოვანთა მუშაობისთვის საჯარიმო სანქციის გამოყენება.

„რეკლამის შესახებ" წარმოდგენილი კანონპროექტით ზუსტდება აკრძალვა - სექსუალური ხასიათის ან/და ისეთი პროდუქციის რეკლამის გავრცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებსა და ჟურნალების გარეკანებზე, რომელსაც მავნე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია არასრულწლოვანთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ან სულიერ განვითარებაზე, იგი შესაბამისობაში მოდის ერთიანი პაკეტის სახით კანონპროექტის წარდგენილ ნორმებთან.

„მაუწყებლობის შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ" წარმოდგენილი კანონპროექტით იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ან სულიერ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების განთავსება ან საჯარო ინფორმაციის მიწოდება. კანონპროექტში მოცემულია ჩამონათვალი, თუ რა სახის ინფორმაცია მიიჩნევა მოზარდების მიმართ მავნე ზეგავლენის მქონედ. კანონპროექტს დაემატა პუნქტი, სადაც ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი მოიცავს მხოლოდ მოვლენების ამსახველ პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური ან მიმოხილვით ხასიათის ინფორმაციას; ინფორმაცია მნიშვნელოვანია სამეცნიერო ან ხელოვნების თვალსაზრისით ან აუცილებელია კვლევითი ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის და არსებობს საზოგადოების დიდი ინტერესი ასეთი ინფორმაციის გავრცელების მიმართ ან იგი საჭიროა ძებნილი პირის იდენტიფიკაციისთვის.

3.2. *კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა*

კომიტეტმა, მისი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, მათ შორის საზედამხედველო საქმიანობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი მნიშვნელოვანი სხდომა და შეხვედრა. აღნიშნული სხდომები და შეხვედრები გაწერილია ნაწილობრივ კომიტეტის ამოცანებში, ხოლო ძირითადად - - კომიტეტის საქმიანობაში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

3.3. *სპორტულ ფედერაციებთან, კლუბებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა*

კომიტეტი ეტაპობრივად ისმენდა საკომიტეტო სხდომებზე სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში და სხვა სპორტულ და ახალგაზრდულ გაერთიანებებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და მათ სამომავლო გეგმებს მათთვის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების და მუშაობაში ხელშეწყობის მიზნით.

„საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აღდგენის საკითხი"

სპორტის აკადემიის გაუმართლებელმა გაუქმებამ, რომლის მიზანი და მიზეზი დღემდე გაურკვეველია, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყანაში დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეს. დღეისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგის 70%-ზე მეტი არასპეციალისტია დასაქმებული. ანალოგიური მდგომარეობაა სასპორტო სკოლებსა და კერძო კლუბებში.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N64 დადგენილებით დაფუძნდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

ლუკა კურტანიძის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით ჭიდაობის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ფედერაციას კონკრეტული მიმართულებები და ღონისძიებები აქვს შემუშავებული. ასევე ფედერაციას დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ქვეყანაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სპორტული ინვენტარის მოსაწესრიგებლად. ჭიდაობის სახეობები პოპულარობით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში, მაგრამ ჭიდაობის დარბაზების რაოდენობა არ არის საკმარისი. დღეს არსებული დარბაზების უმრავლესობა, სადაც კულტივირებულია ჭიდაობის სახეობები, უპირობობის გამო სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებს. საჭიროა რეგიონებში არსებული დარბაზების აღრიცხვა, პრობლემების მონიშვნა და მათი გადაჭრის გზების დასახვა. აგრეთვე მოსაგვარებელია კადრების საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფედერაციასთან იქმნება ჩემპიონთა კლუბი, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს ჭიდაობის ელიტარულ სამყაროს და რომლის ძალისხმევითაც, ჭიდაობის მომავალი აღორძინებისთვის, ჭიდაობის განვითარების სამთავრობო პროგრამის შექმნის საჭიროება იკვეთება, რომელზეც მუშაობა უკვე დაწყებულია, აღნიშნული პროგრამა პრაქტიკულად საკითხთა დიდ სპექტრს მოიცავს. იგი იქნება 8 წლიანი, 2

ოლიმპიურ ციკლზე გათვლილი და მხარდაჭერის შემთხვევაში უმაღლესი შედეგების მომტანი. სპორტისა და მათ შორის ჭიდაობის განვითარებისათვის, აუცილებელია სპორტული კლუბების არსებობა. "ფილა"-ს ეგიდით ტარდება ევროპის ჩემპიონატი კლუბებს შორის. განსაკუთრებით საჩქარია "არმიის სპორტული კლუბის" აღდგენა, აგრეთვე აღსადგენია სხვა სპორტული კლუბებიც, მაგ. "დინამო", "ლოკომოტივი" და ა.შ. საყურადღებოა, რომ 2013 წლის 15-24 მარტს, ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობის სამ სახეობაში - ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქალთა ჭიდაობაში. აღნიშნული ღონისძიება იყო მეტად მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ჩატარდა საქართველოს ისტორიაში პირველად.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

ბესიკ ლიპარტელიანის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, 2013 წლის განმავლობაში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრიორიტეტები იქნება შემდეგი ქვეპროექტების წარმატებით განხორციელება: 1) ეროვნული ნაკრები; 2) ასაკობრივი ნაკრებები; 3) საქართველოს ჩემპიონატები - საკლუბო სპორტი; 4) ვეტერანები.

ეროვნული ნაკრები - 2013 წლის მთავარი საკალათბურთო მოვლენა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია, რომელიც 4-22 სექტემბერს სლოვენიაში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატს ეროვნული ნაკრები საუკეთესო კონდიციებში უნდა შეხვდეს, ამისთვის აუცილებელია ხარისხიანი მოსამზადებელი შეკრებების ორგანიზება და მოსამზადებელ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა. ასევე ყველა ლოჯისტიკური და ორგანიზაციული საკითხის ხარისხიანად მოგვარება, რომლებიც აუცილებელია ნაკრების მომზადებისათვის.

ასაკობრივი ნაკრებები - ფედერაციის მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა ასაკობრივ ნაკრებებს, როგორც ეროვნული ნაკრებისათვის მოთამაშეების მომზადების ძირითად ბაზას. ყველა ასაკობრივ ნაკრებს ჰყავს სამწვრთნელო შტაბი და სამედიცინო პერსონალი, რომლებსაც ფედერაციასთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე ეძლევა ანაზღაურება მთელი წლის განმავლობაში. ფედერაციის მხრიდან ასაკობრივი ნაკრებების მიმართ დასახული მიზანი ყოველთვის იყო და არის ეროვნული ნაკრებისათვის რეზერვის მომზადება და არა კონკრეტულ ტურნირში რომელიმე ადგილის დაკავება.

ვეტერანები - ფედერაცია მაქსიმალურად ცდილობს შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს ვეტერან კალათბურთელებს. მსგავსი სტრატეგია ექნება ფედერაციას 2013 წელსაც.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო წლების განმავლობაში არსებულ და დღევანდელ პრობლემებს: 1) საკანონმდებლო ბაზა; 2) ინფრასტრუქტურა; 3) კლუბები; 4) საგანმანათლებლო პროგრამები.

საქართველოს რაგბის კავშირი

გიორგი ნიჟარაძის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, საქართველოში რაგბი ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობაა და მას ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო სარაგბო თანამეგობრობაში. ამდენად, რაგბის განვითარება საქართველოში უნდა იყოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის, კერძო სექტორისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის. საქართველოს რაგბის კავშირმა შეიმუშავა 2008-2011 წწ. რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის ძირითადი პრიორიტეტები, პირველ ყოვლისა, შიდა სარაგბო მეურნეობის განვითარება და აქედან გამომდინარე - საერთაშორისო არენაზე მიღწეული შედეგების გამყარება და გაუმჯობესება გახლდათ. შედეგად, განვლილ 4-წლიან ციკლში შესამჩნევი გახდა პოზიტიური დინამიკა სტრატეგიული გეგმის ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით: სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, პოპულარიზაციის პროგრამები, სოციალური პროექტები, სანაკრებო რაგბი, ინფრასტრუქტურა, შიდა რაგბი.ახალ ოთხწლიან ციკლში საქართველოში რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმის უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ დარჩება შიდა რაგბის განვითარება. ქვეყნის შიგნით მწყობრი, მოწესრიგებული, მატერიალურად უზრუნველყოფილი და მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნის გარეშე გამორიცხულია მეორე პრიორიტეტული მიმართულების - სანაკრებო რაგბის წინსვლა. აშკარაა კლუბების (გუნდების) რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რაც ძირითადად რაგბის მზარდი პოპულარობითა და სანაკრებო დონეზე მიღწეული წარმატებებით არის განპირობებული. ქართული რაგბი დიდ ამოცანებს არის შეჭიდებული და მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის მსოფლიოს საუკეთესო, ელიტარულ 12 გუნდს შორის მოხვედრა. სრკ-ს განვითარების გეგმის მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა რაგბი, სასკოლო რაგბი, სტუდენტური რაგბი, შვიდკაცა რაგბი, ქალთა რაგბი, სამოყვარულო რაგბი და მასობრიობა. რაგბის კავშირის სტრუქტურა და მენეჯმენტი წლების განმავლობაში იხვეწებოდა და ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. საქართველოს რაგბის კავშირმა ახალ ოთხწლიან ციკლში რიგი პრობლემის მოგვარებას უნდა დაუთმოს დიდი დრო. მათ შორის მნიშვნელოვანია და ძალიან ბევრი იქნება სამუშაო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე. ის წარმატებები, რასაც ქართულმა რაგბიმ მიაღწია, უდიდესწილად განაპირობა რაგბიში მოზიდულმა უპრეცედენტო დაფინანსებამ. რომ არა საქართველოში რაგბის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა (2008-2011 წწ.), საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტი და ფინანსური მხარდაჭერა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს უმაგალითო პოლიტიკური მხარდაჭერა და გაზრდილი გრანტები, რაგბის ერთგული სპონსორების დახმარება - ვერცერთი პროგრამა, რომელმაც ქართული რაგბის ასეთი პროგრესი გამოიწვია, უბრალოდ ვერ განხორციელდებოდა.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია

კონსტანტინე ლაშხის (ფედერაციის პრეზიდენტი) ინფორმაციით, ფედერაციაში გაერთიანებულია ტანვარჯიშის ოთხ სახეობა: სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა და სპორტული აკრობატიკა. აღსანიშნავია, რომ 1991 წლიდან ფედარაცია არის გაწევრიანებული ევროპისა და მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციებში და იგი ყოველი ოლიმპიური თამაშების ციკლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობს მათ საანგარიშო საარჩევნო კონგრესებში. ფედერაცია ყოველთვის დიდ წარმატებას აღწევდა ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის ჰყავს ოლიმპიური 4, მსოფლიო 22, ევროპის 28 ჩემპიონი, აგრეთვე 5 მსოფლიო თასის მფლობელი. მნიშვნელოვანია, რომ ფედერაციას ჰყავს 12 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა განადგურებული და გასხვისებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. მძიმე მდგომარეობაა მწვრთნელთა კადრების მომზადება-გადამზადების თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს: 2014 წელს გაზაფხულზე იმართება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც წინა სალიცენზიო შეჯიბრებაა 2014 წელს ჩინეთში გასამართი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის. ასევე მიმდინარეობს მზადება 2015 წლის ახალგაზრდული თამაშებისათვის, რომელიც თბილისში ჩატარდება.

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი

პროექტის ხელმძღვანელმა წარმოადგინა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, დაარსებიდან დღემდე განხორციელებული პროგრამები, კერძოდ: 2012 წლის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი; საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისადმი მიმართული პროეტები – ახალი თაობა სამართლიანი არჩევნებისათვის; პოლიტიკური იდეოლოგიები თეორიასა და პრაქტიკაში; ზამთრის ფესტივალი 2012; ტრეინინგი ბლოგერებისათვის; 2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი; ასევე ისაუბრა ახალგაზრდულ პარლამენტში შექმნილი კომიტეტების საქმიანობისა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების თაობაზე. ამასთან დასძინა, რომ 2013 წელს იგეგმება მრავალი პროექტისა და ღონისძიების განხორციელება, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ორგანიზაციის მიზნები და საქართველოში დამკვიდრდეს დემოკრატია, რომელსაც შექმნის თავისუფლად მოაზროვნე, ღირებულებებზე დაფუძნებული თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება.

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს დაგეგმილი აქვს და აგრძელებს ზემოთ ჩამოთვლილ სპორტულ და ახალგაზრდულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უწყებებთან თანამშრომლობას მოცემული ფორმატით. მათ შორის მნიშვნელოვანია საშემოდგომო სესიის პერიოდში დაგეგმილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2012-2013 წ.წ. ანგარიშის მოსმენა. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის

შემადგენლობასთან ერთად მოწვეულნი იქნებიან შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტებისა და სამინისტროების წარმომადგენლები, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე „სპორტის შესახებ" კანონპროექტზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია.

3.4. ქვეყანაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში არსებული მდგომარეობა

<u>ნეგატიური ფონი</u>

1. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. ნარკომანია, ტოქსიკომანია ბავშვებსა და მოზარდებში;
3. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა;
4. სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი ახალგაზრდების რაოდენობის ყურადსაღები პროცენტული მაჩვენებელი;
5. სპორტში კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
6. სპორტში დასაქმებული არასპეციალისტების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;
7. სპორტში (მათ შორის სასპორტო განათლებაში) ახალგაზრდა სპეციალისტთა ნაკლებობა და ხანდაზმულთა სიჭარბე;
8. არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
9. არასწორი წვრთნის სავალალო შედეგები ბავშვებსა და მოზარდებში (მე-5 პუნქტის გათვალისწინებით);
10. უწყვეტი სასპორტო განათლების სისტემის არარსებობა;
11. სასპორტო - საგანმანათლებლო დაწესებულებათა არარსებობა;
12. განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების გაუქმება (ცალკეული გამონაკლისის გარდა);
13. არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების, სპორტული ფედერაციების არასაკმარისი დაფინანსება;
14. სასპორტო-სამედიცინო დისპანსერის გაუქმება;
15. პანსიონურ რეჟიმზე მომუშავე სასპორტო პროფილის სასწავლო დაწესებულებების გაუქმება ან სასპორტო ჯგუფების ფუნქციონირების შეწყვეტა;
16. სპორტის აკადემიისა და სპორტის კოლეჯის გაუმართლებელი გაუქმება (აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 28 მარტის #64 მთავრობის დადგენილებით დაფუძნდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
17. სპორტული ობიექტები, რომლებიც არ არიან დაკავებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობით, თანაბარ პირობებში არიან და იბეგრებიან ისე, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციები;

18. სასპორტო ობიექტების პრივატიზაციის პირობების დარღვევა (რეაბილიტაციის ნაცვლად ობიექტის ფუნქციის შეცვლა);
19. სავალალო მდგომარეობა სტუდენტური სპორტში, რომელიც ჩვენი მომავალია;
20. არაოლიმპიური სახეობებისადმი ლოიალური დამოკიდებულება;
21. განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდური ცენტრის, სპეციალიზირებული საჯარო (ზოგადსაგანმანათლებლო) სკოლების (მ. კეკელიძის სახელობის #58-ე, სპორტული პროფილის მე-100, მ. მესხის სახელობის #25-ე, საფეხბურთო #35-ე და გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი) გაუქმება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, როგორც მოზარდი თაობის აღზრდას, ისე კალათბურთისა და ფეხბურთის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან იუნესკოს ასოცირებული რაინდთა საავტორო სკოლის გაუქმება, რითაც ერთ-ერთი მძლავრი საგანმანათლებლო დაწესებულება მოაკლდა ქვეყანას.

<u>პოზიტიური ფონი</u>

1. ქართული სპორტი და ახალგაზრდობა - მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველია და წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს;
2. ქართული სპორტი - აკმაყოფილებს საერთაშორისო მსოფლიო სტანდარტებს (ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მიღწევები საერთაშორისო სარბიელზე და ჩვენი სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ);
3. სახელმწიფოს კეთილი ნება - ხელი შეუწყოს სასპორტო განათლებას;
4. სპორტის პოპულარობა საქართველოში;
5. საკმარისი მიზნობრივი დაფინანსება მარტივი ტიპის სასპორტო ნაგებობების მშენებლობისა და ძველი სასპორტო კომპლექსების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად;
6. დროის მოთხოვნების საფუძველზე აუცილებელია რადიკალური ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, მოსახლეობის გაჯანსაღების, მოზარდი თაობის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის და ჰარმონიული განვითარების, მაღალი მიღწევების, ბავშვთა და სტუდენტურ სპორტში არსებული სტანდარტების დახვეწისა და ამაღლების მიზნით, რაც ავტომატურად გამოიწვევს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ძალოვან სრტუქტურებში ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი რეზერვის მომზადებას, ჯანმრთელობის კუთხით, მოსახლეობაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, საგანგებო სიტუაციებში საჭირო ფიზიკურად ძლიერი ადამიანური რესურსის არსებობას, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას და მის პრევენციას, მოზარდი თაობის განვითარებასა და საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებას;

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის #64 დადგენილებით დაფუძნებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3.5. *საზოგადოებასთან ურთიერთობა*

<u>კომიტეტში შემოსული წერილები</u>

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყებიდან შემოვიდა 150-მდე განცხადება და წერილი, ყველა ეს განცხადება და წერილი კომიტეტისა და მისი აპარატის მიერ აყვანილია კონტროლზე, შესწავლილია, განხილულია და რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამისი უწყებებისთვის.

<u>მოქალაქეთა მიღება</u>

კომიტეტში, თითქმის ყოველი კვირის მინიმუმ ერთი დღე ეთმობა მოქალაქეთა მიღებას. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხთა აქტუალურობის შემთხვევაში, მისი გამორკვევის მიზნით, ხდება განმცხადებელთა არაგეგმიური მიღებაც.

<u>მნიშვნელოვანი შეხვედრები</u>

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით არასასესიო კვირის პერიოდებში, საარჩევნოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, მოსახლეობასთან დიალოგის ფარგლებში ინტენსიურად იმართებოდა კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრების შეხვედრები ამომრჩევლებთან, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დაწესებულებების პერსონალთან, რაიონებისა და ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობასა და მოსახლეობასთან. შეხვედრების ფორმატიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, კომიტეტის ინიციატივით მოწვეულნი იყვნენ და მონაწილეობდნენ პარლამენტის სხვა კომიტეტის წევრები, ასევე დარგის ხელმძღვანელები, მინისტრები, სამინისტროს პასუხისმგებელი პირები და ა.შ. (მაგ: ქარელში- კომიტეტთან ერთად იმყოფებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი; ქუთაისში N37 საჯარო სკოლაში განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კულურაძე, სხვადასხვა რეგიონებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანი და ა.შ)

შეხვედრების ძირითადი თემები იყო: სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ბავშვთა ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმნათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ასევე, ამ შეხვედრების დროს, მოსახლეობას მიეწოდებოდა ვრცელი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას აკეთებდა და რის განახორციელებას გეგმავდა კომიტეტი საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით.